სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №9 (4530) ● 11 მაისი ● 2016 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

კერძო სკოლა – ევროპულ რელსებზე

„ალმასი“ დიდი სიხარულის მოლოდინშია

პირველი კლასი

ზურაბ ბიწაძე

რაოდენ საოცარი გრძნობა გიპყრობს კაცს, როდესაც სასიხარულო რამეს ელოდები. იგი აგამაღლებს, ენერგიით დაგმუხტავს. თორმეტი წელია გლდანის მეორე მიკრორაიონში მდებარე კერძო სკოლა **„ალმასი“** განათლებულ, ნიჭიერ, კონკურენტუნარიან ახალგაზრდობას უზრდის ქვეყანას. იგი მეტად პოპულარულია უბანში.

დიდი სიხარულის მოლოდინი ობიექტური მიზეზების გამო გაჭიანურდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ მიმდინარეობს სკოლის ძველ ნაგებობაზე ახლის დაშენების პროცესი. და როგორც კი დასრულდება იგი, ო, როგორ შვებით ამოისუნთქავენ და ამაყად გადახედავს ყველა თავის სამოქმედო ასპარეზს – პედაგოგიც და მოსწავლეც. თუმცა, არც აქამდე უმოღვაწიათ ურიგოდ. ქვემოთ სწორედ ამ საქმიანობაზე გვექნება საუბარი. აქ სკოლის დაარსების დღიდან ძალაშია ბრძენკაცის ფორმულა: **„კადრები წყვეტენ ყველაფერს!“** აქ სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება ძლიერი პედაგოგიური ანსამბლი და თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. ანსამბლის შემოქმედებითად დამრაზმველი კი გახლავთ თავად შემოქმედი დირექტორი, „**ალმასის**“ დამფუძნებელი **ზურაბ ბიწაძე**, მასავით ენერგიული, გამოცდილ მენეჯერ **მერაბ ბიწაძესთან** ერთად.

ზურაბ ბიწაძე დედაქალაქში, კერძოდ, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მეტად ცნობადი სახეა, იმ პლეადის წარმომადგენელია, როგორიც იყვნენ სახელოვანი: **აკაკი კივილა**ძე, **ამირან მათითაშ**ვილი, **რობერტ გურგე**ნიძე, **დემურ კალან**დაძე, **ოთარ თეთვა**ძე, **თამაზ ტატიშვილი** და სხვები. ხოლო, როგორც საგნის სპეციალისტი, ყოველთვის იყო და არის ფიზიკის ჩინებული მასწავლებელი – დიდი წარმატებით ასწავლიდა ამ საგანს მე-8 და 164-ე სკოლებში, როგორც დირექტორი, ხელმძღვანელობდა მე-16 საჯარო სკოლას, მე-3 საღამოს სკოლას. მის ბიოგრაფიას მეტ ხიბლს მატებს გლადნის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ და მეთოდურ ცენტრში ფიზიკის მეთოდისტად ნაყოფიერი მუშაობა.

დღევანდელობას რა ვუთხრა! დანაშაულის ტოლფასად აღიქმება **განათლების განყოფილებების, მეთოდცენტრების, „დამსახურებული“** და **„სახალხო მასწავლებლების“** სტატუსის გაუქმება.

მოდით, ისევ **ზურაბ ბიწაძის „ალმასს“** დავუბრუნდეთ. პედაგოგებს ერთგულად უდგანან მხარში და თავდადებით მოღვაწეობენ დირექტორის მოადგილეები, ახალგაზრდა, ჩინებული მასწავლებლები: უცხოური ენისა – **ეკა ნიკურაძე** და დაწყებითი კლასებისა – **შორენა ხუჭუა**. შრომის სიყვარულში

▶▶ *გაგრძელება მე — 2 გვ.*

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

სტუმარი – თბილისის მე-2 საჯარო სკოლა

შედეგებით კმაყოფილი დარჩებიან

დასასრულს უახლოვდება სასწავლო წელი.

თბილისის მე-2 საჯარო სკოლა დედაქალაქში ერთ-ერთი სანიმუშოა. სკოლას სათავეში უდგას ახალგაზრდა და ენერგიული პედაგოგი **გალაქტიონ მინდიაშვილი.** იგი, უკვე ექვსი წელიწადია დირექტორია და ამ ხნის მანძილზე, სკოლაში ბევრი პრობლემა მოაგვარა, მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა, განახორციელა არაერთი პროექტი და დაამყარა წესრიგი. ბატონი გალაქტიონი პროფესიითი იურისტია. არის კარგი მენეჯერი და პედაგოგი. ამჟამად, მე-11 კლასის სახელმწიფო და სამართლის მასწავლებელია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. იგი კომუნიკაბელური და მოწესრიგებული ადამიანია, ძალიან უყვარს ბავშვები და ყურადღებით ეპყრობა სკოლის თითოეულ თანამშრომელს. ამიტომაც, აფასებენ მას კოლეგები და მოსწავლეები.

მე-2 საჯარო სკოლაში, მუდამ შემოქმედებითი ფუსფუსია და აქაური მესვეურები, ყველა სასწავლო წელს მომზადებული ხვდებიან. ნაყოფიერი იყო გასული წელიც, რადგან სკოლას 5 ოქროს მედალოსანი ჰყავდა. ესენია: **მანანა ალუდაური, მერი შელია, ანი კავსაძე, ალეკო ბირთველიშვილი** და **ანასტასია ახნაზაროვა**. მათი დამრიგებელი გახლდათ **თინათინ ცომაია**.

სკოლის წარმატებაში, დიდი წვლილი მიუძღვის მაღალკვალიფიციურ პედაგოგებს და აქ მომუშავე თითოეულ თანამშრომელს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, დირექტორის მოადგილის **თეონა არველაძის** თავდაუზოგავი შრომა; ასევე, საქმისმწარმოებლის **ელისო ფიცხელაურის**, ბუღალტრის **მარინა ხაჩატურიანის** და ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერის **გელა ზოზირაშვილის** წარმატებული საქმიანობა.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა და მას ეფექტურად უძღვებიან გამოცდილი პედაგოგები: ქართულ ენა-ლიტერატურისას – **ვალენტინა ღრუბელაშვილი**, მათემატიკისას – **ელვირა სადირინა**, საბუნებისმეტყველოს – **მადლენა მანუკიანი**, დაწყებითი კლასებისას – **ირმა მარგველაშვილი**, უცხო ენებისას – **მარიამ ლომსაძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებისას, გეოგრაფიისას პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი – **ნუგზარ არჩვაძე**, სპორტისა და ესთეტიკისას – **გიორგი არჩაია.** სკოლაში სულ 30 სერთიფიცირებული პედაგოგია, ასევე, არის 1000 ლარ ხელფასიანი პედაგოგი – **ნანა ნაჭყებია.**

საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტ „**GAU**“-ს მიერ ორგანიზებულმა თემატიკის ოლიმპიადაზე, მე-2 სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ, სადაც აქტიურობით გამოირჩეოდნენ მე-12 კლასალები, რაც მათი პედაგოგის **ნანა ნაჭყებიას** დამსახურებაა. გაგაცნობთ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ოლიმპიადის ფინალისტებს: მათემატიკაში მე-6 კლასელები – **ბერდია ალუდაური, ალექსანდრე ქორაია** და **მერი ალუდაური,** მე-4 კლასელი – **ელენე გიორბელიძე**, მე-8 **თეონა ალუდაური,** მე-7 **ქრისტინე როინიშვილი**, მე-11 **თეონა სისაური.** სკოლას ყავს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოწაფეები, ესენია: **ქეთევან ქაჯაია, მერი შელია, ზურაბ ბიბილაშვილი, ნინო ქაჯაია, დავით მაღალდაძე** და **ნინო გეგეჭკორი**. პედაგოგ **ნუგზარ არჩვაძის** აქტიური მუშაობის შედეგად, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სასკოლო კონფერენციაში, სადაც პედაგოგებსაც და მოწაფეებსაც გადაეცათ მადლობის სიგელები. წარჩინებული მოსწავლეები: **ანა ზოზირაშვილი, ანა სემიონოვა** და **ანა იმერლიშვილი, „ჩემი პირველი კომპიუტერის“** მფლობელები გახდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ I-VI კლასები ჩართულები არიან **G-Pride** პროექტში, რაც პედაგოგების დიდი დამსახურებაა. ესენი არიან: იზოლდა **ამანათიძე, ნატო სიხარულიძე, ლია ესებუა, ირმა მარგველაშვილი,**

ლალი ჯაფარიძე, თეონა არველაძე, მადონა ნიკოლაიშვილი, ვალიდა ღუბელაშვილი, ელვირა სადირინა და **ნინო ჩოჩელი.**

წლეულს, სკოლის თაოსნობითა და პედაგოგების **თ. ცომაიასა** და **ქ. ჯიმშელეიშვილის** ხელმძღვანელობით, წინანდალში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე, „ქართველი და რუსი რომანტიკოსები“, სადაც მოსწავლებმა საინტერესო ღონისძიება გამართეს.

სასწავლებლის მიღწევაა ისიც, რომ დედაქალაქის საკრებულოს ორგანიზებით და ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გამართულ კონფერენციაზე – **„მამული, ენა, სარწმუნოება“**, მე-2 სკოლამ წარმატება მოიპოვა და მადლობის წერილიც დაიმსახურა. აღნიშნულ კონფერენციაზე, პირველი ხარისხის დიპლომა გადაეცა წარჩინებულ მე-8 კლასის მოსწავლეს – **ნინი ბუიღლიშვილს** და პედაგოგ – **თინათინ ხეჩიკოვას**.

აქ განათლებასთან ერთად, მოსწავლეების ჯანსაღ ცხოვრებაზეც ზრუნავენ. სკოლა, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში და ჰყავთ ძლიერი ვაჟთა და გოგონათა ფეხბურთის გუნდი, მათი კაპიტნებია: **ლუკა მინდიაშვილი** და **გვანცა ჭეიშვილი,** ხოლო პედაგოგები: **ირაკლი მენთეშაშვილი** და **გიორგი არჩაია**. განსაკუთრებული სპორტული მიღწევები აქვს ტანმოვარჯიშე – **ქრისტინე მელიას**, ჭიდაობაში – **გიორგი შუკაკიძეს** და კალათბურთში – **მარიამ სარაჯიშვილს.**

სანიმუშოა, სკოლის ბიბლიოთეკარის **ელისო ფიცხელაურის** საქმიანობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. იგი, წელიწადში ორჯერ აწყობს კითხვისა და წერის კონკურსს. მოსწავლეთა თვითმართველობის წყალობით კი, სკოლაში საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფს და მას უნარიანად უძღვებიან: თავჯდომარე საბაზო საფეხურზე – **რუსუდან ქაჯაია** და საშუალო საფეხურზე – **გვანცა კირკიტაძე.**

ერთი სიტყვით, მე-2 სკოლას ყველანაირი პირობა და რესურსი აქვს იმისთვის, რომ, იყოს ერთ-ერთი სანიმუშო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება, რაც დირექტორის **გალაქტიონ მინდიაშვილის** დიდი დამსახურებაა.

სასწავლებლის პრესტიჟის ასამაღლებლად და სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აქ ყველა მუშაკი მაღალ შედეგებზეა ორინტირებული. სკოლას აქვს დიდი სამომავლო გეგმები და მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

მზია გოგოძე

▶▶ *პირველი გვერდიდან*

არ ვიცით, რომელი რომელს ვარჩიოთ. საქმის უზადო პროფესიონალები არიან: ექიმი-პედიატრი, ბიოლოგიის მასწავლებელი **ეკა კანდელაკი**, კანცელარიის გამგე და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი **სოფიკო გორგაძე**, სამეურნეო ნაწილის გამგე **გივი ბერიძე**, ბუღალტრები **რამაზ ბაღდოშვილი**, ბიბლიოთეკარი **ნათია ლეჟავა**.

კათედრების მოქნილი მუშაობა **პირდაპირპროპორციულია** სწავლების ხარისხის ამაღლებისა. კათედრებს უნარიანი, შემოქმედი ხელმძღვანელები განაგებენ: ქართული ენა-ლიტერატურის კათედრას – **მარიკა მუმლაძე**. მას მხარში უდგანან უფროსი მასწავლებლები: **მაკა ბურდიაშვილი**, **მაია გიგინეიშვილი**, **ლალი მაკასარაშვილი**; ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისას – **ლეილა ტურძელაძე**, წევრები: **დალი ჩინჩალაძე**, **ეკა კანდელაკი**, **ინგა ყრუაშვილი** (უფროსი მასწავლებლები), **ლამარა შათირიშვილი, თამარ ბოჭორიშვილი**, **ზამირა ახალაძე**, **სალომე ბიწაძე**; საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას – **თინათინ ბუსკივაძე** (უფროსი მასწავლებელი). წევრები: **ინგა გელაშვილი** (უფროსი), **ეთერ მიქაძე**; უცხო ენებისას – **მარიამ შიკლაძე**, წევრები: **ეკა ალთუნაშვილი**, **ანა თოლორდავა** (უფროსები), **ნაზი შანავა**, **ნონა ჯალაბაძე**, **ირინე ფერაძე**, **ლიზა ტყემალაძე**, **მანანა ხმალაძე** (უფროსები); ფიზიკურ-ესთეტიკური აღზრდისას – **ნაირა შიუკაშვილი**, წევრები: **შალვა თეთრაშვილი**, **თამარ მამულაშვილი**, **დავით მენაბდიშვილი**; დაწყებითი კლასებისას – **ინგა შიუკაშვილი**, წევრები: **ბელა ბუნტური**, **სალომე ჭუმბურიძე**, **მერი ყაველაშვილი**, **თინა რიკაძე**, **ნანა ჭუმბურიძე**, **მარინე ღვინცაძე**.

„ხე ნაყოფითა საცნაურ არს!“ მასწავლებლის ღვაწლი მისი აღზრდილებით ფასდება. ერთი ბრძენი კაცი ამბობდა: **„მოსწავლის გმირობა და სიმამაცე ფრიადზე სწავლაა“**. ამ შეგონებას აქ დიდი გასავალი აქვს. მაღალია სასწავლო-შემოქმედებით აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობის მაჩვენებელი. იცით **„ათოსანი“**, ნიჭიერი მოსწავლეების **„რა სიუხვეა, რა სიმრავლეა?“** ყველას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ ზოგი მათგანი მაინც უნდა შევაქოთ: **ნატო ბულია** (ინგლისურში – XII კლასი), **გვანცა ჩიტაური** (ქართულში – XII), **საბა ბერულავა** (VI კლასი – კარატეში მოიპოვა III ადგილი).

ქართული ხალხური საკრავების ანსამბლში (ხელმძღვანელი **ე. ხელაძე)** კონკურსების ლაურეატები არიან: **ამირან მამარდაშვილი, გიორგი** და **თეკლე კაპანაძეები**, **ნიკა გეწაძე**, **ლუკა მაზიაშვილი**.

გაუმარჯოს სწავლაში მამაცებს! „10“-იანზე სწავლობენ: **ნ. ბულია**, **გ. ჩიტაური**, **გ. მამარდაშვილი**, **ს. ჭიღლაძე**, **ლ. ლომიძე**, **რ. მეგრელიძე**, **დ. იოსავა**, **ლ. დადიანი** და ასე შემდეგ. დაე, იმრავლოს თქვენმა რიგებმა!

სკოლა **„ალმასის“** მეშვიდეკლასელები მართლაც ალმასივით გოგო-ბიჭები არიან. ისინი გამოირჩევიან აკადემიური მოსწრებით. აქტიური ჩართულობით შემოქმედებით ღონისძიებებში, ხშირად დადიან თეატრში, მუზეუმებში, მეგობრობენ ერთმანეთთან, პედაგოგებთან. შესანიშნავად მოწესრიგებული კლასია, ღმერთმანი. მალე ეთნოგრაფიულ მუზეუმს ეწვევიან. მადლობა მათ კლასის დამრიგებელს.

„ალმასელები“ ხშირად მონაწილეობენ საქველმოქმედო ღონისძიებებში. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. **„კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი“. გალაკტიონის** ამ სტრიქონებისა არ იყოს, კიდევ ბევრი რამ სასიხარულო და საამაყო გვაქვს სათქმელი. მოდით, ეს სხვა დროისთვის იყოს!

ნატვრა-ოცნების ასრულებას გისურვებთ კოლეგებო! მალე ახალ ჭერქვეშ მენახეთ, „ალმასელებო!“

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ემიგრანტების თითო ლექსი

მამულში ფიქრით ვბრუნდებით

ქეთი ათენელი

ნინოს

განახე და თითქოს, არც იყავ უცხო,
ნათელს აფრქვევდა შენი ღიმილი,
თვალებზე უფლის დიდმადლი გეცხო.
მუხლს მოიდრეკდა, მის წინ ტკივილი...

ხარ, ჩემი გენის, გულმოქარგული
მზე და ბუნება, უცხო მიწაზე.
მარად იცოცხლებს გენი ქართული,
განახე და კიდევ, გულით ვიწამე!

მე მიხარია სიცოცხლე შენი,
ენა, მამულის, რწმენის ვარაყო!
შენ ქართველობა, იმდენად გშვენის,
ამ სილამაზით ვხარობ, ვამაყობ!

ნანა აბესაძე

***

ცოტაც და უკვე მივდივარ,
დიდ გზას ვადგავარ დამლოცე.
არ გააციო კერია,
ზოგჯერ სურათსაც აკოცე...
გამომადევნე სიტყვები,
მისდღემში რომ არ გითქვია,
რადგან შენ სულში გული და
გონება მუდამ იბრძვიან...
თუ არა უხმოდ წაგივალ,
და გისახსოვრებ დუმილებს.
დარჩები მარტო მათთან და
წამოგიშლიან სურვილებს.
ფიქრებს მოგგვრიან მტკივანებს,
სიტყვა რომ დაგრჩა უთქმელი,
ნათქვამზე გული დაგწყდება
და წარსულს ველარ უშველი...
ცოტაც და უკვე მივდივარ,
დიდ გზას ვადგავარ დამლოცე.
დამპირდი რომ ჩემს გაცრეცილ,
სურათს ხანდახან აკოცებ...

მარინე ხუჭუა

და თუნდაც ცალ-ცალკე...

რაღაცა იწყება, რაღაცა მთავრდება
დრო ბრუნავს, მიქრიან წუთები,
ცხოვრების კიბეზე ფერები ბაცდება,
ლოდინში ლოდინით ვხუნდები.
სიყვარულს ინახავს დღეს ყველა ნაოჭი,
დაღვრილი ცრემლებიც უჩინო გამხდარა,
წარსულს და მომავალს აერთებს ქაოსი,
ყინულიც ამ გულში უმზეოდ გამდნარა.
გზა ცისკენ მიიწევს, ქვევიდან გავცქერი,
მგზავრი ვარ უბირი, მეს გამოქცეული,
მეწევა ბეჭებზე არსობის ნამქერი,
ვფიქრობ და ფიქრებშიც ვარსებობ ეული....
რაღაცა იწყება, რაღაცა მთავრდება,
ჩვენ – მეთი შეცვლილი, სამყარო გავძარცვეთ,
რაღაცა მუქდება, რაღაცა ბაცდება,
და თუნდაც ცალ-ცალკე, არ მინდა დავმარცხდეთ....

თეა ხასაია

***

რა დამავიწყებს ხელებს აწეულს,
ლოცვას, რომელიც ავა ღმერთამდე,
რა დაგვავიწყებს დროშებს დაწეულს,
გზას ტიტებიდან – ამაღლებამდე..
ჯეგდნენ, ჩეხავდნენ ნიჩბით რა ხელით,
ნორჩ ანგელოზებს ართმევდნენ ჟანგბადს,
ველარ შემუსროს მათი სახელი,
წარსულის ჩრჩილმა, მტვერმა თუ ჟანგმა..
სულში დაღვრილი სისხლის მიდუღს ზღვა,
ციებ-ცხელებად ტანს გამჯდომია,
სანამდის მტარვალს მისს არ მივუზღავთ,
არ მწამს მშვიდობის,ახლაც ომია!!!
რა დრო გასულა.. დრო კი არ კურნავს,
მეწამულისფრად ისევ გათენდა,
ეკა, თათია, თინა, თამუნა,
სხვანო მრავალნო... დიდება, თქვენდა!
ცელავენ ბალახს,უი უფალო,
მამულო,სისხლი გიღებს გულისპირს,
ღმერთმა არა ქნას, ტყუილუბრალო,
წვეთიც დაღვრილი, შენი გულისთვის!
რა დამავიწყებს ხელებს აწეულს,
ლოცვას, რომელიც ავა ღმერთამდე,
რა დაგვავიწყებს დროშებს დაწეულს,
გზას ტიტებიდან – ამაღლებამდე..

თორნიკე ჩხიკვაძე

***

მე ტკივილამდე მენატრება შენი დანახვა,
შენი გულისკენ მე სავალ გზას ველარ ვპოულობ,
რომ უშენობამ ჩემი გული ასე დალახვრა,
შევალ ტაძარში და ხატის წინ შენს თავს ვთხოულობ.
უშენოდ ასე მუქ ფერებში გადის ცხოვრება,
შენზედ ფიქრებმა შეიწირა რამდენი ღამე,
შენი არსება სიკვდილამდის მემახსოვრება,
განვმარტოვდებით ოცნებებში ისევ შენ და მე.
კვლავ მენატრება შენი სუნთქვა, შენი თვალები
არ დავფიქრდები, შენს გულისთვის სიცოცხლეს დავთმობ,
მაგრამ ძვირფასო, რადგან თავად არ გებრალები,
მიტომ დავმუნჯდი და სატკივარს ლექსებში ვამბობ.
ალბათ ბედისგან მარტოობა ჩემი ხვედრია,
რაც შენ დამტოვე, სიხარული არ შემხვედრია.

თეონა კიკვაძე

***

რომ არ გეპოვე ბეწვის ხიდთან, გზის გასაყარზე,
მე ზამთრის ქარში ცივ განთიადს ვერ გავუძლებდი,
ყორჩივარდებმა ორგულობა რომ დამაბრალეს,
შემომაგებე თბილი ხელი,როგორც იმედი.
გამასამართლეს, ამინდებმაც არ გამამართლეს
და არსებობაც გახდებოდა მალე სულერთი,
მაგრამ შენ შვებად სიყვარული გადამაფარე
და შემიკედლე, როგორც ჩიტი გამთბარ ბუდეში.
როდესაც თვალში სხივჩამქრალი ვეძებდი გზაკვალს,
სასტიკმა ქარმა არ დამინდო ზამთრის სუსხებში,
მოხვედი შენ და მომიტანე იმდენი ძალა,
რომ ამინდები გახდა თითქოს უკვე სულერთი.
წვიმს თუ დარია მიყვარხარ და არას დავეძებ!
სისულელეა სიყვარული დაკარგო ქარში,
ერთხელ, სულ ერთხელ მოგიყვები წარსულ დარდებზე,
და მერე ყველა მოგონებას უკვალოდ წავშლი.
ახლა ჩვენ ერთად ერთმანეთის სიმშვიდეს ვუვლით,
ნამდვილ სიყვარულს აძლიერებს თურმე მანძილი,
მოვალ მალე და აგიყვავებ გაზაფხულს გულში,
და მერე ველარ დაგვაშორებს ცივი ამინდი!

ამირან თოდუა

ლხინის გარანტი!

ლურჯა წამართვა, მაგრამ ვინ ჩივის?!
გულიც თან მიაქვს, ჩემი, მთლიანად!..
მიცურავს ველზე, ვით წყალზე ტივი...
თან ერთვის ნიავს, მქროლი ნიავად!!
რული წამართვა, მაგრამ ვინ ჩივის?!
სევდანარევი დამტოვა მარტო!..
მთელი არსება, ჩემი, მისტირის...
მწველი ციქრების ფანტელი მათოვს!!
სუნთქვა შემაშთო, მაგრამ ვინ ჩივის?!
სიცოცხლეც, ჩემი, თან გაჰყოლია!..
სული შეკრულა რკალით სიცივის...
და განშორებას გადაჰყოლია!!
... ვიწვი ორმაგად, რადგან ღალატი,
ლურჯასგან უფრო გამკვირვებია!..
თუმცა კიდევ მაქვს, ერთი, ტალანტი,
რასაც ჯერ ხელი აღარ ხლებია!..
მოთმინებაა ლხინის გარანტი!!
მოთმინებითა შფოთნი ქრებიან!!!

მოამზადა
ირმა მეგონიამ

ᲛᲣᲓᲐᲛ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲘᲡᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

მრავალმხრივი აღზრდა-განათლების კერა

ამ დიდებული სახლის კეთილმოწყობისა და აღჭურვის საქმეში მერიამ უდიდესი როლი შეასრულა. მისი დევიზი „შეიცან თავი შენი“. ყოველივე წრეობრივი და სტუდიური მუშაობის მეშვეობით ხორციელდება.

ნაყოფიერად და საინტერესოდ მოღვაწეობენ წრეები: ქართული ენისა და ლიტერატურისა – პედაგოგი **ნუნუკა ბალავაძე**, ინგლისური ენისა – **ნათია კოკოევა**, **ნათია დაბახიშვილი**, **მარიამ თეთრაული** და **ელისო ბადრიძე**, რუსული ენა ლიტერატურისა – **ლორა არუთინოვი**, მათემატიკისა – **ანა კაპანაძე**, ქიმია-ბიოლოგიისა – **ბელა გაბათაშვილი**, ფიზიკისა – **ბელა მორგოშია**, შემეცნებითი განმავითარებელი – **თეა აბშილავა**, ქორეოგრაფიული – **კობა ძოწენიძე**, კარატე – **მერაბ ტურაშვილი**, სახვითი ხელოვნებისა – **რობერტ ნერსესოვი**, საესტრადო-ვოკალური – **ჟუკა ტულუში** და **მაია ენუქიძე**, ხალხური საკრავების ანსამბლი „ერთსულოვნება“ – **პავლე ჭუმბურიძე**, თეატრი „თაობა“, პედაგოგი და რეჟისორი – **ირინე შიუკაშვილი**, გიტარისა – **სოფიკო ხახვიაშვილი**, კომპიუტერისა – **ბესიკ კოპტონაშვილი**, ჭადრაკისა – **ნინო ოთიაშვილი**, სამეჯლისო ცეკვისა – **ინდა ნადირაძე**, მხატვრული ტანვარჯიშისა და პლასტიკის – **ნატალია მჭედლიშვილი**.

ქართული ენისა და ლიტერატურის წრე შემდეგ მიმართულებებს უძღვება: აბიტურიენტთა მომზადება, ლიტერატურული სალონი „ალტერ ეგო“. პროექტი – **„ილაპარაკეთ ოლონდ ქართულად!“** შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული **„რუსთაველის დღეები“**.

საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთი სახეობა, **„გოჯუ-რიუ კარატე-დო“** ხელს უწყობს მოზარდის ფიზიკურ და სულიერ განვითარებას.

ინგლისური ენის წრე მოსწავლეებს სთავაზობს სწავლებას დონეების მიხედვით. ისინი მონაწილეობენ ოლიმპიადებში და მაღალ შეფასებასაც ღებულობენ. ასეთებია: **ალეკო** და **ზურა ბერიძეები**, **გიორგი ყარყარაშვილი**, **ანდრია ოქროჯანაშვილი**, **მედეა დიდებაშვილი**, **სალომე დალაქიშვილი** და სხვები.

საინტერესოდ მუშაობენ ფიზიკის, ქიმია ბიოლოგიის და მათემატიკის წრეები. მათემატიკურ ოლიმპიადაში თავი გამოიჩინეს **ეკა შუბითიძემ** და **ანა აბრამიშვილმა.**

ისნის მოსწავლეთა სახლში ჩქეფს შემოქმედებითი საქმიანობა. კერძოდ, ხალხურ საკრავების ბავშვთა ანსამბლი **„ერთსულოვნება“,** (პედაგოგი **პავლე ჭუმბურიძე**) რომელიც 7 წელია არსებობს და მეტად პოპულარულია. მას მჭიდრო კავშირი აქვს საპატრიარქოსთან. განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევიან: **გიორგი იჩქიტიძე**, **ანა ნინიკაშვილი**, **ტატო მელიქიძე**, **ირაკლი გოგიაშვილი**, **ლუკა ლუაშვილი**, **ელისაბედ შერაზადიშვილი**, **დაჩი დიღმელაშვილი** და **გიორგი ჯაშიაშვილი**.

გვახარებს საესტრადო-ვოკალური წრე და ანსამბლი **„დო, რე, მი“, (პედაგოგი ჟუკა ტულუში)**. მათი შემოქმედებითი საქმიანობა მდიდარია საინტერესო ადამიანებთან შეხვედრის ორგანიზებით. ბავშვები ეზიარნენ ქართველი კომპოზიტორების: **მაცაცო სეფისკვერაძის**, **ნუნუ გაბუნიას**, **ჯემალ სეფიაშვილის**, **ვაჟა აზარაშვილის**, **გია მაჭარაშვილის**, **ნატო გელაშვილის**, **ჯუმბერ ამანათაშვილის**, **ქეთი გაბისიანისა** და **მანანა მერაბიშვილის** შემოქმედებას. პედაგოგი **ჟუკა ტულუში** ხშირად იწვევს მუსიკოს შემსრულებლებს მასტერკლასების ჩასატარებლად. დაგეგმილია კომპოზიტორ **ნინო ჩხიკვაძის** მოწვევა.

სახვითი ხელოვნება (პედაგოგი **რობერტ ნერსესოვი**) ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა. აქედან 26 მოსწავლე მხატვართა კავშირის წევრია. საქალაქო გამოფენების ხშირი მონაწილეა სამხატვრო სტუდია **„ფანტაზია“**. მისი სიამაყეა ყველაზე პატარა მხატვარი, **თათული მაგრაქველიძე**, რომელიც ამჟამად 4 წლისაა. 3 წლისამ ყველა განაცვიფრა თავისი ნიჭით.

მაისში სტუდია **„ფანტაზია“** აწყობს ნახატების გამოფენას, რომელიც მიეძღვნება შოთა რუსთაველის 850 წლისთავს.

წარმატებებს აღწევს ქორეოგრაფიული წრის ბავშვთა ანსამბლი **„გრემი“**, რომელსაც ხელმძღვანელობს ცეკვის პედაგოგი – **კობა ძოწენიძე**.

სკოლისგარეშე სააღმზრდელო მუშაობის დარგში საყოველთაოდ ცნობილია ისნის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი თავისი წარსულითა და აწმყოთი, საინტერესო, მრავალრიცხოვანი ღონისძიებებით, ემოციური შეხვედრებით ხელოვნების კორიფეებთან: კინორეჟისორ **რეზო ჩხეიძესთან**, კინომცოდნე **გოგი დოლიძესთან**, კომპოზიტორ **ლია ორაგველიძესთან** და სხვა.

ბავშვთა თეატრ **„თაობის“** დაარსება აწ განსვენებული, ღირსების ორდენოსანი, დამსახურებული მსახიობის, **ომარ გაბელიას** სახელთან არის დაკავშირებული.

ივნისში ბავშვთა თეატრი **„თაობა“** აღნიშნავს დაარსების 20 წლისთავს. პროექტით განსაზღვრულია სამი სპექტაკლის პრემიერა. იგი გაიმართება ისნის მოსწავლეთა სახლის თეატრალურ დარბაზში.

ამჟამად თეატრ **„თაობას“** წარმატებით უძღვება პედაგოგი და რეჟისორი **ირინა შიუკაშვილი**. თეატრი მაყურებელს ხიბლავს თავისი ოსტატობით. მათ უკვე დადგეს 5 პიესა.

პატარა მსახიობებიდან ქების ღირსნი არიან: **თამარ ქობელაშვილი**, **მარიამ ნიკოლაიშვილი**, **არჩილ ჩეკურიშვილი**, **თამარ მათიაშვილი**, **გიორგი კუბლაშვილი**, **მიხეილ კუპრავა**, **რევაზ ქველაძე**, **ანანო ტატიშვილი**, **ლიზი კანაშვილი**, **ლიზი ოდიშარია** და სხვები.

სამომავლოდ, ისნის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, მერიის მხარდაჭერით უფრო საინტერესო პროექტებს შესთავაზებს თავის აღსაზრდელებს და ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

მადლობის და ქების ღირსია ისნის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი **ჯულიეტა დანელ**ია. მის ენერგიულ, შემოქმედებით საქმიანობას სასიხარულო ნაყოფი მოაქვს.

მას მხარში ერთგულად უდგას მთელი კოლექტივი და თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექცია **მანანა წნორიაშვილის** ხელმძღვანელობით.

ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, მეგობრებო!

რომან მოსეშვილი

თბილისის 104-ე სომხური სკოლა – 78

ო, როგორ საჭიროა მეგობრობა!

დიდი აშუღი **საიათნოვა** სამი ერის მეგობრობას უმღეროდა. ამ გრძნობით 78 წელია იზრდება **თბილისის 104-ე სომხურ** საჯარო სკოლაში მოსწავლე-ახალგაზრდობა. სკოლის დაარსების დღეს – **22 აპრილს** აქ ყოველ წელს აღნიშნავენ.

აი, ფოიეში კარგად მოფიქრებული სტენდი: სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფო დროშები ერთმანეთს ძმურად გადახვევიან. ამ ფონზე სიმბოლურად ასახულია ხალხთა ეროვნული ტრადიციები, მათთვის დამახასიათებელი კულტურის, ხელოვნების ნიმუშები და ყველაფერი ურთიერთსიყვარულის განწყობილებას ქმნის. წელსაც სკოლის დაარსების დღე ღირსეულად აღნიშნეს.

სკოლას კარგა ხანია შემოქმედებითად უძღვება ერუდირებული, გამოცდილი დირექტორი **ირინე ჟამკოჩიანი**. მან ავტორიტეტი და პოპულარობა უკვე მოიხვეჭა. გთავაზობთ მასთან საუბრის მოკლე შინაარსს.

***

104-ე საჯარო სკოლა თბილისში ერთადერთი სომხური სკოლაა. მდებარეობს ძველი თბილისის რაიონში და განთავსებულია 4-სართულიან შენობაში. წელს აღვნიშნეთ მისი დაარსების 78-ე წლისთავი.

სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი სწავლა-აღზრდაში მაღალი შედეგების მისაღწევად და წარმატებებიც სახეზეა.

დირექტორს გვერდს ღირსეულად უმშვენებს სასწავლო ნაწილის გამგე – **ალმარ სირადეგიანი**. საგაკვეთილო პროცესის სწორად ორგანიზებას უდიდეს ძალისხმევას ახმარს. ყველა პრობლემას ადვილად აგვარებს. უბრალოა და მეგობრული.

სკოლაში მართვის დემოკრატიული სტილია დამკვიდრებული. აქ მუშაობენ გამოცდილი, კვალიფიციური, სერთიფიცირებული პედაგოგები. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული.

ვამაყობთ სანიმუშო აღზრდილებით, ოლიმპიადებში, კონკურსებში გამარჯვებულმა მეექვსეკლასელმა **რიმა მკრტიჩიანმა** თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ შეჯიბრებაზე მე-3 ადგილი დაიკავა, უმაღლესი ლიგის ხუთეულში კი – მე-4 ადგილი. მერვეკლასელებმა: **სვეტა მამულაშვილმა**, **ლარისა ჰაკობიანმა**, **რიტა მურადიანმა**, **მილენა პეტროსიანმა** (მასწავლებელი – **ლია ნაცვლიშვილი)** ქართულის ოლიმპიადაზე 100 ქულიდან 100-ვე დაიმსახურეს.

დერეფანში ხშირად ეწყობა მოსწავლეთა ხელოვნების ნამუშევრების გამოფენა, ხდება მათი ოსტატობის აღიარება (პედაგოგი – **ერნა დოლმაზოვა**). სკოლის ცხოვრებას ახალისებს საინტერესო პროექტ-გაკვეთილები, პრეზენტაციები, ღია გაკვეთილები, სასწავლო ექსკურსიები, მუსიკალური ღონისძიებები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა საინტერესო მუშაობას ეწევა.

სკოლაში საგნობრივი კათედრების კარგი მუშაობა სწავლების ხარისხის ამაღლების გარანტია.

უნარიანად უძღვებიან: ქართული ენა-ლიტერატურის კათედრას – **მარეტტა შახდინარიანი**; მშობლიური ენა-ლიტერატურის კათედრას – **კარინე ოგანეზოვი**; დაწყებითი კლასების კათედრას – **ლამარა კაზარიანი**; მათემატიკის კათედრას – **სილვა სარუხანიანი**; საბუნებისმეტყველოს (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია) – **გულჩორა ბაბაიანი**; უცხოური ენების კათედრას – **ვიოლეტა მაყაშვილი**; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას – **პაიცარ გრიგორიანი**; ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის კათედრას – **მარინა არშაკიანი**. მაღალ დონეზეა წრეობრივი მუშაობა. მაღალ შეფასებას იმსახურებს: ინგლისური ენის წრე – მასწავლებელი **დინა გაბათაშვილი**; გახანგრძლივებული სწავლების წრე – **ლაურა რუშანიანი**; ქორეოგრაფიული წრე – **ლიანა კაშავანიძე**.

სკოლას ემსახურება მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელსაც ხელმძღვანელობს **ასმიკ ანტონიანი**. იგი ნამდვილი პროფესიონალია, შრომისმოყვარე. მარტო წიგნების გაცემით კი არ არის დაკავებული, არამედ ეწევა საინტერესო საინფორმაციო მუშაობას მოსწავლეებში. ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება მსჯელობა აქტუალურ საკითხებზე, დისკუსიები, შემოქმედებითი საღამოები.

ნებისმიერი სკოლა მზად უნდა იყოს სტიქიისგან თავის დასაცავად. (ხანძარი, მიწისძვრა), ჩვენ მოსწავლეებს ამისგან თავის დაცვის საშუალებებს ვასწავლით.

104-ე საჯარო სკოლა მრავალ საშუალებას ფლობს იმისთვის, რომ სისტემა წარმატებული იყოს.

მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროექტში და გაიმარჯვეს. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს – **ლია ნაცვლიშვილს**.

იგი ასწავლის არა მარტო ქართულ ენას, არამედ ასევე უნერგავს მოსწავლეებს საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულს.

P.S. *წარმატებებს, გამარჯვებებს გისურვებთ, 104-ე სკოლელებო! გვჯერა, თქვენ დიდი მიღწევებით შეხვდებით თქვენი მშობლიური სკოლის დაარსების 80 წლისთავს და ღირსეულად აღნიშნავთ მის იუბილეს.*

ბორის მიშველაძე

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

ქართული ენის დღეები ერევანში

დღეს შექმნილი ვითარების ფონზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა ურთიერთმეგობრობას. თბილისის 98-ე საჯარო სკოლა მრავალეროვანია. აქაურ ახალგაზრდებს შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებთ ერევნელ მოსწავლეებთან.

2009 წელს ერევნის **მხითარ სებასტაცის** საგანმანათლებლო კომპლექსთან ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე სომხეთის დედაქალაქში ყოველწლიურად **14 აპრილს** იმართება **ქართული ენის** დღეები, რომლის მხარდამჭერია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისის მერია და საქართველოს საელჩო სომხეთის რესპუბლიკაში.

მხითარ სებასტაცის საგანმანათლებლო კომპლექსთან თანამშრომლობით წლების განმავლობაში თბილისის 98-ე საჯარო სკოლას განხორციელებული აქვს მრავალი პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებლებში ერთაშორისი ურთიერთობების საუკუნოვანი ტრადიციების პოპულარიზაცია და განათლების სფეროში მიღებული გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს **მხითარ სებასტაცის** სასწავლო კომპლექსში ქართული ენის სწავლების ფაქტი. პროექტის **„ქართული ენის სწავლება სომხეთში“** მიზანია ქართული ენის პოპულარიზაცია, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა და ინტერკულტურული კომპეტენციის ამაღლება მოსწავლე-ახალგაზრდებში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ქართული ენის სწავლების ინოვაციური მეთოდების, მიღწევებისა და გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, ღია გაკვეთილებისა და შემოქმედებითი საღამოების ორგანიზება. ქართული კულტურისა და ტრადიციების გაცნობა, ფოლკლორული და ცეკვის ანსამბლების მონაწილეობით ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება.

ამა წლის 14 აპრილს, ერევანში 98-ე სკოლის დირექტორის **გიორგი მომცელიძისა** და ცეკვის პედაგოგის **ნოდარ ხანდოლიშვილის** ხელმძღვანელობით იმყოფებოდა მოსწავლეთა 50-კაციანი დელეგაცია. **მხითარ სებასტაცის** საგანმანათლებლო კომპლექსში მათი მონაწილეობით გაიმართა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება. კონცერტზე თბილისელმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს ქართული ცეკვები, სიმღერები, ლექსები.

ერევნელმა თანატოლებმა წარმოადგინეს როგორც თავიანთი ქვეყნის კულტურა, ასევე ქართული.

სტუმრები იყვნენ: სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და დიასპორის წარმომადგენლები. ღონისძიება გაშუქდა სომხეთის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ.

თბილისის 98-ე საჯარო სკოლას მიღებული აქვს სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს **ელჩის მადლობის სიგელი** ქართველი და სომეხი ხალხების დამეგობრების საქმეში შეტანილი წვლილისათვის. ასევე, სკოლის დირექტორი, **გიორგი მომცელიძე** დაჯილდოვდა **მადლობის სიგელით სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ქართულ-სომხური კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების განვითარებაში** შეტანილი წვლილისათვის.

მეგობრობა გრძელდება და უფრო ღრმავდება.

ბორის ევგენიძე

ძალზე იშვიათად თუ ნახავთ საქართველოში დღეს ოჯახს, სადაც ოთხი თაობის პედაგოგიური მემკვიდრეობა მოღვაწეობდეს. ასეთი კი გახლავთ სახელოვანი პედაგოგის, აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის, რამდენიმე ჯილდოს მფლობელი **მიხეილ რუხაიას** ოჯახი. ყოველ წელს 8 მაისს, ბატონი მიხეილის დაბადების დღეს აღნიშნავენ. აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგი თბილისის მიწას ჰყავს მიბარებული და მის საფლავს სანთელს უნთებენ. იგი ისტორიის მასწავლებელი იყო და დიდ ყურადღებას აქცევდა სიმბოლური მნიშვნელობის თარიღებს. **ეპოქალური მოვლენის, ფაშიზმის კაპიტულაციის დღეს ვარ დაბადებულიო,** – იტყოდა ხუმრობით. დიახ, ბატონი მიხეილი თავად იყო დიდი სამამულო ომის ღირსეული მონაწილე.

ხიმურ რუხაია მეუღლესთან და ვახტანგთან

ნინო რუხაია მეუღლით

მიხეილ რუხაია (უმცროსი)

ნახევარი საუკუნე იღვაწა პედაგოგიურ ასპარეზზე. **მასწავლებლობას უკეთილშობილეს პროფესიად თვლიდა, ადამიანის ზნეობრივ ეტალონად მიიჩნევდა.** ასევე ნახევარი საუკუნე მის მხარდამხარ იღვწოდა მისი მეუღლე, დამსახურებული მასწავლებელი, ჩინებული სპეციალისტი ქიმიისა **ნინა კუცია**. ორივე ძლიერი მესაძირკვლეა პედაგოგიური მემკვიდრეობისა, რომელსაც, როგორც მუხას, მძლავრი ფესვები გაუდგამს

მიხეილ რუხაია – 100

მამამთავარი პედაგოგიური დინასტიისა

და დღეს ტანაშოლტილი დგას განათლების სისტემაში. ერთი სიტყვით, მათ ოჯახში პედაგოგის კულტი იყო დამკვიდრებული. როგორც დედას ვიფიცებთ, ისე იშველიებდა ბატონი მიხეილი კამათისას, ან ოპონენტის დარწმუნებისას საბუთად პედაგოგის ავტორიტეტს: **„დამიჯერე, არ გატყუებ, მე პედაგოგი ვარო“**.

სანამ **რუხაიების** პედაგოგიურ დინასტიაზე რამეს ვიტყოდეთ, გვინდა მოკლედ მივადევნოთ თვალი დიდი პედაგოგის ნამსახურეობრივ გზას: ბატონი **მიხეილი დაიბადა და გაიზარდა მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში, აქვე დაამთავრა მშობლიური სკოლა, შემდეგ – თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი. ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა საგარეჯოს რაიონის გომბორის სკოლაში.** დააწინაურეს რაიონის **მოსწავლე-ახალგაზრდობის ორგანიზაციის ხელმძღვანელად. დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილეა, იბრძოდა ქლუხორის მისადგომებთან.** დაიჭრა კიდეც. ომის შემდეგ ისევ მასწავლებლობას შეუდგა **აბედათის** სკოლაში. მალე მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად გადმოვიდა **ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალ კინდღში** და დაინიშნა **ცაგერის** 8-წლიანი სკოლის დირექტორად. შემდეგ **ძველი კინდღის** 8-წლიანი სკოლის დირექტორია. ყველაზე დიდხანს იღვაწა **ახალი კინდღის** საშუალო სკოლაში – ჯერ ისტორიის მასწავლებლად და შემდეგ კი – საღამოს სკოლის დირექტორად.

გიორგი რუხაია

მიხეილ რუხაია მუდამ იყო სოფლის მშვენება, ავტორიტეტული, სოფლის ქომაგი, **მეზობლობაში სანდო და საიმედო**. კაცი არ გვეგულება მასზე ვინმე განაწყენებული. იყო შესანიშნავი თამადა, ჭირსა და ლხინში ყველას თანამდგომი.

ახლა **მიხეილ რუხაიას** პედაგოგიურ დინასტიაზე ვთქვათ ცოტა რამ: მის სათავეში უთუოდ უნდა ჩავაყენოთ ჩვენი სოფლის სიამაყე, ბატონი მიხეილის ვაჟიშვილი **ხიმურ რუხაია** – მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დედაუნივერსიტეტის გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის გამგე, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, 60-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი და 6 სამეცნიერო ხარისხის მაძიებლის ხელმძღვანელი. მისი მეუღლე **ქრისტინე ჯმუხაძე** დიდებული მათემატიკოსი და დიასახლისია. ჰყავთ ოთხი შვილი.

მათგან **ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ, დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის პროფესორია.

მიხეილ რუხაია (უმცროსი) – კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, მონოგრაფიის და რამდენიმე პროექტის ავტორია.

გიორგი რუხაია ბონის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტია. **ვახტანგ რუხაია** ჯერ კიდევ მოსწავლეა.

ლუიზა მიხეილის ასული რუხაია და მისი მეუღლე **გენადი გვიშიანი** აფხაზეთის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. მათი შვილებიდან **მამუკა გვიშიანმა** დაამთავრა დედაუნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი, შემდეგ – სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და ამჟამად სამედიცინო კლინიკის მენეჯერად მუშაობს.

მარინე გვიშიანი თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის აღზრდილია და დედაქალაქის მე-13 პოლიკლინიკაში მუშაობს. მისი ორი შვილიდან **ბაჩანა ჩხეიძე** სტუდენტია, **თამარ ჩხეიძე** კი – სკოლის მოსწავლე.

ლიანა მიხეილის ასულმა რუხაიამ წარმატებით დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და მოღვაწეობდა სამედიცინო ინსტიტუტის ლაბორატორიაში. ლიანას

გვანცა მიქანაძე

ქალიშვილმა **გვანცა მიქანაძემ** დაამთავრა დედაუნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი. იგი ამჟამად საქართველოს უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტია.

აი, მკითხველო, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი დიდი პედაგოგის **მიხეილ რუხაიას** მოღვაწეობის ბრწყინვალე ნაყოფი – **მთელი პლეადა განათლების სისტემაში მძლავრად ფრთებგაშლილი მეცნიერებისა და მასწავლებლებისა.**

ჩვენ, კოლეგები, მეგობრები, ყოფილი მოსწავლეები, მის ოჯახთან ერთად დიდი სიყვარულით ვიგონებთ დიდ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს **მიხეილ რუხაიას** და აღვნიშნავთ მისი დაბადების 100 წლისთავს, თან გულითადად ვამბობთ: **„აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“**

ოჯახის, კოლეგების, მეგობარ-ნამოწაფრების სახელით:

ტიტე ხუხუა, ზიგფრიდ ხუხუა, ვალტერ სიჭინავა, გიზო გეგეჭკორი, ნინა ლეთოდიანი, ბორის მიშველაძე და სხვები.

ოთარ ცხადაძე – 75

სახელმოხვეჭილი პედაგოგი და მეცნიერი

ასეთ მოღვაწეებზე იდგა, დგას და უნდა იდგეს ქართული პედაგოგიკა და მეცნიერება. მსგავს პიროვნებებზე ამბობდა ვაჟა: **„ნეტავი ბევრი გაზარდოს შენისთანები დედამაო“**.

ოთარ ცხადაძემ ბავშვობა გაატარა ე. წ. სვანეთის უბანში და პლეხანოვის გამზირზე, სწავლობდა თბილისის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში. მისი მედლით დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო დედაუნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბატონი ოთარი მუშაობდა ჯერ ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში უფროს ტექნიკოსად. შემდეგ – მე-18 მუშა-ახალგაზრდობის ცვლიან სკოლაში მათემატიკისა და ასტრონომიის მასწავლებლად. 1968 წლიდან 1996 წლამდე – თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმების განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად. 1992 წლიდან პარალელურად იყო თბილისის 171-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. 1996-97 სასწავლო წელს მუშაობდა მოსკოვში, მე-17 საშუალო სკოლასა და 61-ე სკოლა – ინტერნატში მათემატიკის მასწავლებლად; 1997-2002 წლებში იყო თბილისის ვაკის რაიონის განათლების განყოფილების უფროსი მეთოდისტი მათემატიკასა და ინფორმატიკაში. 2003 წლიდან პენსიაში გასვლამდე – თბილისის ნიჭიერ ბავშვთა სამეცნიერო-ტექნიკურ ლიცეუმსა და 170-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია.

იუბილარისთვის მაინც ყველაზე ძვირფასია ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდი. აქ მისი კვლევის სფეროები იყო ალგორითმების თეორიისა და მტკიცებათა თეორიის (ლოგიკური გამოყვანის მათემატიკური თეორიის) აქტუალური თემები, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკის დაფუძნების და მეთოდიკის კათედრაზე, კითხულობდა სპეცკურსებს ალგორითმების თეორიაში და ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებს მათემატიკურ ლოგიკაში, ხელმძღვანელობდა საკურსო და სადიპლომო შრომებს. მისი ნაშრომები შეეხება მტკიცებათა თეორიისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის საკითხებს.

იუბილარისთვის დამახასიათებელია იშვიათი პედაგოგიური ალღო, რაც ვლინდება მისი მრავალრიცხოვანი მოსწავლეების წარმატებებში. მას ხშირად იწვევდნენ მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკურ და საქალაქო ინსტიტუტებში სათანამშრომლოდ; კითხულობდა ლექციებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე; ბევრჯერ იყო მოსწავლეთა სხვადასხვა ოლიმპიადის ჟიურის წევრი. მისი მოსწავლეები ხშირად იმარჯვებდნენ საქალაქო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ოლიმპიადებზე. თვითონაც მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო და პედაგოგიურ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

ოთარ ცხადაძე ჩაბმული იყო აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც; წლების მანძილზე იყო საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი და საბურთალოს რეგიონალური სახალხო ფრონტის თავმჯდომარე.

ჩვენი ოთარი კარგი მეოჯახეა. მისი მეუღლე – **ეთერ კილაძე** იყო საკავშირო სამეცნიერო გაერთიანება „ალგორითმის“ განყოფილების გამგე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამოთვლითი ცენტრის ხელმძღვანელი. ჰყავთ ორი ქალიშვილი: **თამარი** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორია; ხოლო **ხათუნა** – იტალიური ენის სპეციალისტი, ხათუნა ცხადაძის თარგმანებით გაიცნო ქართველმა მკითხველმა დიდი იტალიელი მწერლისა და მოაზროვნის **უმბერტო ეკოს** ბრწყინვალე შედევრები; იგი არის ლიტერატურული პრემიების **„გალასა“** და **„საბას“** ორგზის ლაურეატი. შვილიშვილი – **ლევან გოგოტიშვილი** აგრძელებს პაპის ტრადიციას – სწავლობს თსუ-ში მათემატიკის სპეციალობაზე.

ბატონ ოთარს სანათესაოც სანიმუშო ჰყავს. მისი ძმა გახლავთ თბილისის კოლორიტი და ცნობილი თამადა – **ვახტანგ ცხადაძე**, მხატვრულ ფილმ **„ამბავი ივანე კოტორაშვილისას“** ერთ-ერთი მთავარი როლის – **ქიტესას** შემსრულებელი.

ვულოცავთ **ოთარ ცხადაძეს** იუბილეს, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და ბედნიერებას ვუსურვებთ.

გიორგი ჯაიანი,
თსუ ილია ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, პროფესორი, ევროპის მენციერებათა აკადემიის წევრი.

ხიმურ რუხაია,
თსუ გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამების ლაბორატორიის გამგე, მათემატიკის დოქტორი.

უმწვავესი პრობლემა

არათუ ვიფიქროთ, ვიღონოთ რამე!

ინტერნეტში ასეთ კალამბურს წავაწყდი: „ეს ჩვენი კომპიუტერია – ნუთუ ის წიგნის მტერია?!“ ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა, ნახევარ სიმართლეს არ შეიცავდეს. მკითხველო, მოდით, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ამ სხარტულის დედააზრს. ეს ისეთი პრობლემაა, ყველას რომ გვტკივა და მსოფლიოს აწუხებს.

მაშ, მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი... და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა!“

ინდაურივით თავშეყოფილი შვილები და შვილიშვილები ვერ მოვაშორე კომპიუტერს. პატარები კი არა, ჭარმაგებიც გადარია ცივილიზაციის ამ გიგანტურმა მონაპოვარმა. იგი მოსწავლის ჯანმრთელობას დაემუქრა, უშრომელად ფონს გასვლის სენი შეჰყარა. წიგნი და კალამი ლამის ხელიდან გააგდებინოს, ნარკოტიკივით შეიჩვია, ილიას სიბრძნე დაავიწყა. **„უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეაო“**, რომ ბრძანა.

ბიბლიოთეკებში იშვიათად ნახავთ წიგნებში თავჩარგულ მოსწავლეს, სტუდენტს. თუ ვინმეს წააწყდებით, დისერტაციაზე მომუშავე მკლევარია. მომრავლდნენ სათვალიანი ბავშვები.

მედალს ორი მხარე აქვს: კომპიუტერი უდიდეს სიკეთესთან ერთად თავის ტკივილი ხდება: დღეს იდიოტი უნდა იყოს ვინმე, კომპიუტერის, მობილურის მნიშვნელობა-სარგებლიანობა არ ესმოდეს, მაგრამ ვერც სხვა რეალობას გაექცევი. ფსიქოლოგები, პედაგოგები, ექიმები ხმაშეწყობილად ასკვნიან: კომპიუტერიდან მზამზარეულად მიღებულ ზღვა ინფორმაციას სრულყოფილად ვერ ითვისებს ადამიანის, მითუფრო მოზარდის ტვინი, თიშავს მას დამოუკიდებელი აზროვნებისგან, ძიებით მიღებული აღმოჩენის სიხარულისგან და ზერელე ცოდნას აძლევს, ინტერეს უკარგავს, აზარმაცებს, საბოლოო ჯამში ყველაფერი იწვევს სწავლისადმი გულის აცრუებას. იოლად შეძენილი ცოდნა იოლადვე ქრება. გაიხსენეთ ანდაზა: **„ქარის მოტანილს ქარი წაიღებ**სო“, რაიმე ღირებული თავის შეუწუხებლად ვის შეუქმნია! უეკლოდ მოკრეფილი ვარდი კი **„არა ღირდეს არცა ჩირად“**. პარადოქსია: აამაღლა კი სკოლაში კომპიუტერმა სწავლის, შეთვისებული ცოდნის დონე და ხარისხი? პირიქით ხომ არ მოხდა? **კომპიუტერი არ არის პანაცეა, იგი ოდენ სწავლების დამხმარე, უმაღლესი დონის ტექნიკური საშუალებაა**, რომელსაც ოსტატურად გამოყენება უნდა.

გამგები გაგვიგებს: რომში ერთ-ერთი საფლავის ქვას აწერია: **„იგი ჭამდა და სვამდა ზომიერად“**. იმ კაცმა კი 120 წელი იცოცხლა. კალმახზე უფრო მარგებელი თევზი რომელია? მაგრამ ლუარსაბი უზომოდ რომ მიაძღა, **„დაემართა კუჭის ანთება და ჩაბარდა პატრონს!“**

ნუ გავიმეტებთ ჩვენს შვილებს დასაღუპავად! ვიღონოთ რამე! აპოკალიფსს არ ვხატავ. დღევანდელობის მოცემულობას თვალი, ჭკუა და გონება გავუსწოროთ.

პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი განათლების სამინისტროს ინიციატივით დავსხდეთ და გამოვნახოთ გამოსავალი. ამერიკისა და ევროპის ქვეყნების სკოლებში კომპიუტერული რეჟიმი ზედმიწევნით მოწესრიგებულია. ჩემი ერთ-ერთი კონკრეტული აზრი და (გნებავთ, რჩევა დაარქვით) ასეთია: **ჯერ კიდევ შეუბუმბლავ პირველკლასელს კომპიუტერს უწა-უწა ნუ მივაჩეჩებთ. მისი სასწავლო გამოყენება მეოთხე კლასიდან დავაწყებინოთ.**

თქვენ კი თქვენი თქვით, კოლეგებო!

რედაქტორი

დაუვიწყარი დღე თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში

პოეტური სიტყვის ზეიმ-გაკვეთილი

ყველა ღონისძიებას, რომელშიც მოსწავლეები მონაწილეობენ, უძვირფასეს გაკვეთილს დავარქმევთ. რატომ? რატომდა, იგი არის ყველაზე ეფექტიან-შედეგიანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობის საუკეთესო ფორმა.

პოეტის შეხვედრას ახალგაზრდებთან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და თუ ის პოეტი ამავე დროს ამ მოსწავლეთა მასწავლებელიც გახლავთ, ამას კი მართლაც, რაღა სჯობს?! ჰოდა, თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში ახლახან სწორედ ასეთი ზეაღმტაცი ღონისძიება ჩატარდა.

ქართული ენა-ლიტერატურის კათედრასთან ერთად მისი ინიციატორი იყო გეოგრაფიის ჩინებული მასწავლებელი, V² კლასის დამრიგებელი – **ნაზი ბეჟანიშვილი** და ისტორიკოსი, VIII² კლასის ხელმძღვანელი – **ნინო ჯიქიძე**. მუსიკალური ნაწილის გაფორმება ითავა ხელოვნების პედაგოგმა – **იზა ტყეშელაშვილ**მა.

უპრიანი იყო, ჩვენი კოლეგის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, **მაყვალა გერმანოზაშვილის** შემოქმედება რომ გაეცნო ფართო საზოგადოებას. მაყვალა რომ პოეტია მეტნაკლებად ვიცოდით, მაგრამ სრულყოფილად მისი შემოქმედების გამომზეურება სწორედ 12 აპრილს მოხდა. ღონისძიების მესვეურებმა ეს საშური საქმე მის საიუბილეო თარიღს დაამთხვიეს. მოსწავლეებმა ძვირფას მასწავლებელს იუბილე მისი ლექსების მხატვრულად წაკითხვითა და რამდენიმე მათგანზე აჟღერებული სიმღერით მიულოცეს.

მაყვალა გერმანოზაშვილის ლექსები ახალგაზრდებს ასწავლის თავმდაბლობას, გმირი წინაპრებისადმი მოკრძალებასა და მათ დაფასებას. ეროვნული სულისკვეთებით მუხტავს მკითხველსა თუ მსმენელს.

ღონისძიებას რეფრენად გასდევდა მხატვრულად შესრულებული ამონარიდები ლექსებიდან;

„თავისუფლებავ, სიზმრისეულო,
ჩემს ქვეყანაში გნახე!“
„ამ უსასრულო გზაზე,
რა ვარ, ან ვინ ვარ, ღმერთო?!
ციდან ჩამესმის ექო;
„ბალახის ხარო ღერო“
„მცხეთას ქალაქს მირონი დუღს,
დუღს და კიდეც იდუღოს!
მთავარია, ჩვენს გულებში
ქრისტეს მცნებამ იქუხოს!“

პოეტის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს არაჩვეულებრივად ასრულებდა მომღერალთა გუნდი **იზა ტყეშელაშვილის** ხელმძღვანელობით.

ღონისძიებით მოიხიბლნენ მოწვეული სტუმრები: **თამარ გაბროშვილი**, **ქეთევან დოლიძე**. უსინათლო, მაგრამ სულიერი თვალით მაყურებელი პოეტები: **ამირან ღოღა**ძე, უსინათლოთა საზოგადოების ლიტერატურულ ჟურნალ **„სინათლის“** რედაქტორი, პოეტი **ცირა ვეფხვა**ძე, ამავე საზოგადოების კულტურის სახლის დირექტორი, მათივე კოლეგა **ნათია ჯიქი**ძე.

სტუმრებმა ღონისძიებაზე მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარეს დამსწრე საზოგადოებასა და მონაწილე მოსწავლეებს, თბილი სიტყვებით მიულოცეს პედაგოგს იუბილე. **მაყვალა გერმანოზაშვილს** კოლეგებმა: **ლიანა გვიჩიამ**, **ლელა საურმა** და **ნარგული ფირცხალაიშვილმა** საკუთარი ლექსები მიუძღვნეს.

ღონისძიებაზე შთამბეჭდავი სიტყვით გამოვიდა მაყვალა მასწავლებლის X³ კლასის მოსწავლე **ანა თავა**ძე.

საერთო სიხარულს იზიარებდა იუბილარის დედა, უხუცესი ქალბატონი – **ეთერ ნონიაშვილი**, მას დიდი სითბო და სიყვარული გაატანეს მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, სტუმრებმა, განსაკუთრებით კი სკოლის დირექტორმა – **შორენა ცნობილაძემ**, რომელმაც ღონისძიების დასასრულს შთამბეჭდავი სიტყვა წარმოსთქვა, მადლობა გადაუხადა პატარა მკითხველებს და დიპლომებით დააჯილდოვა ლიტერატურული სალონის აქტიური მონაწილე მეხუთეკლასელი: **ანი აბეჩხრიშვილი**, **ნანუკი მარტიაშვილი**, **ანი გაბაძე**, **ლილე კაცაძე**, **საბა ნოზაძე**, **ლუკა სვანიძე**, **ალექსანდრე ნამგალაური**, **ანი ქიტოშვილი**, **ვახო სხირტლაძე**, **ნინო ფანჩულიძე**, **ირაკლი ფოცხორაია**, **სოფო ჯაოშვილი**, **ნიკა მეტრეველი**, **მარიამ ჩხაიძე**, **ქეთევან გალახვარიძე**, **გიორგი მაზმიშვილი**, **მარიამ ლაჩინოვი**, **ნინო სიმონგულაშვილი**, **ელენე თანდიაშვილი**, **ნინო მარუაშვილი**, **საბა ცირდავა**, **დავით ფონჯავიძე**, **ნათია კუპატაძე**, **სოფო შაკაია**, **გიორგი კიპაროიძე**, **ლიზი ყარმაზანაშვილი**. VIII კლასელები: **გვანცა ბაბულეიშვილი**, **ნატა ბერიძე**, **ანა სართანია**, **სანდრო ცერცვაძე**, **ანი ბიჩინაშვილი**, **თამარ ფურცელაძე**, **ვაჟა ზალინაშვილი**, **ნინო ოყუჯავა**, **მარიამ გელაშვილი**, **თამარ გვიანიშვილი**, **ზურა შურღაია**, **ანრი ჩარგეიშვილი**, **ვიტალი კარაიანუ**, **გიორგი სიდამონიძე**, **ლუკა მარსაგიშვილი**, **ნიკა მეტონიძე**, **ლუკა ილურიძე**, **ანა ჭელიძე**, **გიორგი ბეგაშვილი**, **ნინო ქოზაევი**. ასევე ღონისძიების ინიციატორი პედაგოგები: **ნაზი ბეჟანიშვილი**, **ნინო ჯიქიძე** და **იზა ტყეშელაშვილი**.

დიდი მადლობა სკოლის დირექციას შემოქმედებითი გარემოს შექმნისა და ხელშეწყობისათვის. ასეთი სახის ღონისძიება მომავალშიც ჩატარდება და სტიმულის მიმცემი იქნება როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა შემოქმედებით საქმიანობაში წარმატებისათვის.

ნაზი ბეჟანიშვილი

P.S. გთავაზობთ რამდენიმე ლექსს იუბილარის შემოქმედებიდან.

მაყვალა გერმანოზაშვილი

ოდესმე ალბათ

ოდესმე, ალბათ, იბერიაში
ჯავახეთიდან ფარავნის გავლით,
ვაზის ჯვრით ხელში შემოაბიჯებს
წმინდა ნინოი ღვთისმშობლის ლოცვით.

გაუკვირდება უცხო მგზავრს ქართლში,
ვარდობის თვეში თოვლი მთის წვერზე,
კერპებისათვის შეწირვა მსხვერპლის,
ზარი, ზეიმი ქართველთ სახეზე.

და დაეცემა ჭექა-ქუხილით
ქართველთა კერპებს ზარი ალმგველი
და მაყვლოვანის ეკალ-ბარდებში
ამობრწყინდება ქრისტეს ნათელი.

ზეცის განაჩენი

მთებს შერევია ღრუბლები,
მოსაყოლი აქვთ რამდენი?!
თვალცრემლიანი ნისლები,
წვიმის მდინარედ დამდენი.
ცის თაღი გაიელვარებს,
დასჭექს და დაიმქუხარებს,
მიწის ცოდვები ცას უმძიმს,
სიმწრის ცრემლებით მწუხარებს...
ღვთის სახე-ხატდაკარგულნი
ვერ ვხვდებით ზეცის განაჩენს.

ჩემს ქვეყანაში განახე

თვალი მილულა ცამ დასავლეთით,
განაცრისფერდა ცა.
ძილს მიეცემა ახლა სოფელი,
ნანას უმღერებს ზღვა.
მთვარეულივით გამოანათებს
ცის კაბადონზე მნათე,
თავისუფლებავ, სიზმრისეულო!
ჩემს ქვეყანაში განახე.

ბუნების ხატი

შინდის თავზე დანთებულა ოქრო,
ისვენებდა ღამის მზერა თურმე,
კვერცხის გული გადმოსხმოდა ტოტებს,
ერბო-კვერცხი ეცხოთ ხელისგულზე.

პეიზაჟი

თუთას მთვარე სტუმრებია
ვარსკვლავებთან ერთად.
შინდს მზის სხივი შერჩენია,
ანთებულა სანთლად.
ნუშს ცის ნამი შეუნახავს,
ბროლის თვალი-განძად.
დილით მზის სხივს, ბეჭდად დნობილს
თვალს აუხელს ალბათ.

მარადისობა

ვიღაცა მიდის, ვიღაცა მოდის,
ვის მზე უცინის, ვისთან დის მთვარე.
და მაინც ასე, და მაინც ისე,
ბუნებას ეტრფის დიდი და მცირე.

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+, №9 (4530)
11 მაისი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 58 45 72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34-41-41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ.ფოსტა: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ.: (032)2 99 80 00
(032)2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113